KA030149147292418

№ 01-1226/ს **16 / აგვისტო / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მიმდინარე წლის 17-20 სექტემბერს იტალიაში, ქ. რომში ტარდება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული კომიტეტის 68-ე სესია. აღნიშნული ღონისძიება ყოველწლიურად იმართება და მასში მონაწილეობს ევროპის რეგიონის 53 ქვეყნის დელეგაცია, ჯანდაცვის მინისტრების ხელმძღვანელობით.

68-ე სესიის ფარგლებში გათვალისწინებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისის საქმიანობის შეჯამება, დაგეგმილი აქტივობების განხილვა და დისკუსიები ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისიდან მიღებული დამატებითი ინფორმაციის თანახმად, 16 სექტემბერს დაგეგმილია ოფიციალური მიღება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული დირექტორის ქალბატონი ჟუჟანა ჯაკაბის სახელით.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით საქართველოს დელეგაცია განისაზღვა შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით სერგეენკო - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;
2. ამირან გამყრელიძე - სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი;
3. სოფიკო ბელქანია - სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ეროვნული საკონტაქტო პირი.

ამასთან, იტალიაში დაგეგმილი ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გათვალისწინებით, ქ. რომში ვერ იქნა მოძიებული საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილებით განსაზღვრული საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების ნორმის შესაბამისი ღირებულების სასტუმრო. იტალიაში საქართველოს საელჩოს დახმარებით დაიჯავშნა 250 და 330 ევროს ღირებულების სასტუმროები.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ თქვენთვის და სოფიკო ბელქანიასთვის მივლინების ბრძანების გაფორმებას 2018 წლის 15 სექტემბრიდან 2018 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით და მგზავრობის, სასტუმროს (ფაქტიური ხარჯის მიხედვით), დღიური ნორმისა და დამატებით თქვენთვის, დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია

დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი